სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი,
საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

KA011790011791523

16 / ივნისი / 2023 წ.

№ **126437**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსს
ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს

ქალბატონო მანანა,

საქართველოს პარლამენტის წევრის, ბატონი რომან გოცირიძის, № 4300/3-17/23 მომართვასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ელექტრონული მონაცემებით, 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის:

1283 სუბიექტის წილის მესაკუთრედ ან/და დამფუძნებლად დარეგისტრირდა რუსეთის ფედერაციის 1687 მოქალაქე.

წილის მესაკუთრის ან/და დამფუძნებლის შესახებ მონაცემები მოძიებულია შემდეგი სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტებში: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ხელმძღვანელი/წარმომადგენლის ან/და მმართველი ორგანოს წევრის სახით, რუსეთის ფედერაციის 1289 მოქალაქის მონაწილეობა დარეგისტრირდა 1114 იურიდიულ პირში. ხელმძღვანელი/წარმომადგენლის ან/და მმართველი ორგანოს წევრის შესახებ მონაცემები მოძიებულია შემდეგი სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტებში: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კოოპერატივი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ელექტრონული მონაცემებით, 2023 წლის 1 იანვრიდან 5 ივნისამდე პერიოდისთვის:

470 სუბიექტის წილის მესაკუთრედ ან/და დამფუძნებლად დარეგისტრირდა რუსეთის ფედერაციის 657 მოქალაქე.

წილის მესაკუთრის ან/და დამფუძნებლის სახით რუსეთის ფედერაციის 657 მოქალაქის მონაწილეობა დარეგისტრირდა 470 იურიდიულ პირში. წილის მესაკუთრის ან/და დამფუძნებლის შესახებ მონაცემები მოძიებულია შემდეგი სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტებში: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ხელმძღვანელი/წარმომადგენლის ან/და მმართველი ორგანოს წევრის სახით, რუსეთის ფედერაციის 404 მოქალაქის მონაწილეობა დარეგისტრირდა 359 იურიდიულ პირში. ხელმძღვანელი/წარმომადგენლის ან/და მმართველი ორგანოს წევრის შესახებ მონაცემები მოძიებულია შემდეგი სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტებში: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კოოპერატივი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ელექტრონული მონაცემებით, **2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის** ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა 14506 რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ხოლო, **2023 წლის 1 იანვრიდან 5 ივნისამდე პერიოდისთვის**, ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა 6185 რუსეთის ფედერაციის მოქალაქე;

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის 5000 რუსეთის ფედერაციის მოქალაქის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 6135 საცხოვრებელ ბინა/ერთეულზე, ხოლო, **2023 წლის 1 იანვრიდან 5 ივნისამდე პერიოდისთვის**, 2780 რუსეთის ფედერაციის მოქალაქის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 3369 საცხოვრებელ ბინა/ერთეულზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია მოძიებულია სააგენტოს ელექტრონული და მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით.

პატივისცემით,

საინფორმაციო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თათია გაწერელია